ბათუმელები
არასამთავრობო
www.intellect.org.ge
საგაზეთო ჩანართი
ინტელექტი
თვითმმართველობა და განვითარება
№15 / 2011

# მიგრაცია — მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების უპირველესი პრობლემა



მირანდა სურმანიძე

მირანდა სურმანიძე ხულოს მუნიციპალიტეტში - სხალთის თემში დაიბადა და გაიზარდა, სკოლაც აქვე დაამთავრა. სკოლის პერიოდიდანვე იცოდა, რომ სწავლას აუცილებლად დედაქალაქში გააგრძელებდა, რადგან თვლიდა, რომ დედაქალაქში განათლების მიღება უკეთესი იქნებოდა მისი მომავლისათვის. მან ბავშვობის თითქმის ყველა ოცნება აისრულა. საკუთარი თავი გამოსცადა ყველა სფეროში. სწავლისას და ჟურნალისტური საქმიანობისას გაიცნო საყვარელი მწერლები, მსახიობები, მომღერლები, სპორტსმენები...

ამჟამად რადიო STAR FM - ის ერთ-ერთი პოპულარული წამყვანი და შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მაგისტრანტი მშობლიურ სხალთაში დაბრუნებას, მიუხედავად სურვილისა, შორეულ მომავალშიც არ გეგმავს: „დაბრუნების სურვილი ყოველთვის მაქვს, მაგრამ სულ ვფიქრობ, რომ დავბრუნდე რა ვაკეთო? თბილისში განვითარების სწრაფი ტემპია, ვცდილობ ფეხი ავუწყო და არ მოვდუნდე, რადგან მეც სწორედ ასეთი ტემპით ცხოვრება მომწონს."

სხალთაში დაბრუნებას არც მირანდას დები აპირებენ, ისინი ამბობენ, რომ სოფლად თვითრეალიზების საშუალება საერთოდ არ არის, თუმცა თვლიან, რომ ადრე თუ გვიან სოფელს ვინმემ უნდა მიხედოს თუ ყველა იფიქრებს იქიდან გამოქცევას მთა მთლად დაცარიელდება, სოფლები კი შესაძლოა გაუკაცრიელების საფრთხის წინაშე აღმოჩნდენენ.

„რა თქმა უნდა, რთული იქნება ერთი ხელის მოსმით ყველაფრის მოგვარება, მაგრამ პროცესი თუ დაიწყება, შედეგიც იქნება. პირველ რიგში, სოფლებში კულტურული დაწესებულებები უნდა არსებობდეს და ფუნქციონირებდეს, უნდა მოეწყოს სპორტული ინფრასტრუქტურა, ამ პროცესში კი ახალგაზრდების აქტიური ჩართვა უნდა ხდებოდეს. თავად ახალგაზრდებმა და მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამაც უნდა იზრუნოს თემის კეთილდღეობაზე, თავად უნდა შესძინონ აზრი საკუთარ ცხოვრებას".

სასწავლებლად არა, მაგრამ საკუთარი სოფლის დატოვება 25 წლის ხიხაძირელ უშანგი ცეცხლაძესაც ხშირად უწევს, ის სამუშაოდ თურქეთში უკვე მე-5 წელია დადის და სწორედ ასე ინახავს დედას და სამ ძმას. მამა ადრე გარდაეცვალა და ოჯახის უფროსობის მძიმე ტვირთის ტარებაც მას უწევს. უჭირს, მაგრამ სხვა გზას ვერ ხედავს. სოფელს რისი შესაძლებლობაც აქვს, იმის ნახევარის გამოყენებაც არ შეუძლიათ ცუდი კლიმატური პირობების გამო. მართალია საარსებო წყაროს შოვნა უმძიმესი შრომის ფასად უწევს, მაგრამ სირთულეები არ აშინებს და ცხოვრებას ეჭიდება: „ძალიან რთულ პირობებში გვიწევს მუშაობა, ხშირად 20-25 კაცს ერთ ოთახში გვძინავს, მაგრამ რომ არ წავიდე, როგორ ვარჩინო ოჯახი? საქართველოში დასაქმების არავითარი შესაძლებლობა არ მაქვს. თურქეთში ჩასულს სამუშაოს საშოვნელად „ბირჟაზე" დგომა არ მიწევს, ნაცნობი თურქი პირველად ყოველთვის მე მასაქმებს და მერე სხვას, კარგადაც მიხდის. ვაპირებ, სანამ ახალგაზრდა ვარ და ჯანმრთელობა ხელს მიწყობს, საცხოვრებელი ბათუმში მოვიწყო და ჩემი ოჯახიც აქეთ გადმოვიყვანო."

მსგავს ისტორიებს აჭარის მაღალმთიანეთში ხშირად მოისმენთ. ყოველი მე-3 ოჯახიდან ერთ-ერთი წევრი (თუ არა მეტი) სამსახურის საძებრად ან სასწავლებლად სოფელს ტოვებს. (სამუშაოდ ყველაზე ხშირად, ბათუმის გარდა, თურქეთის რესპუბლიკაში მიდიან, აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან ასევე მიგრირებენ საბერძნეთში, უკრაინაში, პოლონეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში.) ფაქტი კი ერთია - სოფლიდან წასულთა უმრავლესობას, იქ არსებული პირობების გამო, უკან დაბრუნება არ სურს.

### რა უწყობს ხელს შიდა მიგრაციას

უკვე წლებია მიგრაცია საქართველოსთვის ერთ-ერთ უპირველესი და გადაუჭრელი პრობლემაა, ეს არავისთვის არ არის სიახლე, თუმცა არც შიდა მიგრაციის მხრივ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. ზუსტი სტატისტიკა იმისა, თუ რამდენი სოფელი დაცარიელდა და ძირითადად რა კატეგორიის ხალხი ტოვებს სოფელს არ მოიპოვება.

პრობლემა ნათლად დავინახეთ, მაშინ, როცა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელქტმა" პროექტის „ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის აჭარის რეგიონში" ფარგლებში, სხვადასხვა დროს ჩაატარა მოსახლეობის, სპეციალისტთა და ბიზნესმენთა გამოკითხვა, რომლებშიც მიგრაცია მაღალმთიანი მუნიციპალიტეტიდან ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემათა შორის დასახელდა.

მიგრაციის ძირითად მაპროვოცირებლად შეიძლება მივიჩნიოთ სოფლად შექმნილი მძიმე და უმოძრაო ეკონომიკური ფონი, აგრეთვე თვითრეალიზების შესაძლებლობის დაბალი მაჩვენებლი. თუმცა მიგრაციისათვის არანაკლებ ხელისშემწყობია აჭარის მუნიციპალიტეტების რელიეფი. რელიეფიდან გამომდინარე ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში ხშირია მეწყრული მოვლენები. სწორედ ეროზირების გამო ოჯახები იძულებით მიგრირებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, სადაც ცხოვრებისათვის შედარებით უკეთესი ბუნებრივი პირობებია.

შემდეგ მიზეზად შეიძლება დასახელდეს სახნავ-სათესი მიწების სიმწირე და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ბაზრების ნაკლებობა. როგორც შუახევის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მიხეილ დავითაძე ამბობს - „შუახევი საზღვრისპირა რეგიონის შემადგენელი ნაწილია და მოსახლეობის აქ დაკავებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ამისათვის ყველაფერს ვაკეთებთ, ვცდილობთ ცხოვრებისთვის და საქმიანობისთვის შესაფერისი პირობები შევქმნათ, მაგრამ მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში მაინც უძლურები ვართ. ძირითადად სოფელს ტოვებენ ახალგაზრდები, რომელბიც სასწავლებლად მიდიან და აღარ ბრუნდებიან (შუახევის მუნიციპალიტეტს ეს პროებლემა ბოლო ორი წელია არც ისე მწვავედ აწუხებს, როგორც ხულოს მუნიციპალიტეტს, რადგან აქ ფუნქციონირებს ხიჭაურის უნივერსიტეტი, რომელმაც ხელი შეუწყო აბიტურიენტთა გადინების შეჩერებას ავტ.), ასევე ახლადშექმნილი ოჯახები, რომლებიც მცირემიწიანობის გამო იძულებულნი არიან საცხოვრებელი სხვაგან მოიწყონ". ერთი მხრივ, სოფელში მცირემიწიანობის პრობლემის გამო სასურველია მოსახლეობის მიგრირება გარკვეულ დონემდე, მაგრამ ეს პროცესი არ უნდა წარიმართოს სელექციურობის პრინციპით, რადგან სოფელს ძირითადად შრომისუნარიანი ნაწილი და უმაღლესგანათლებული ახალგაზრდები ტოვებენ. შედეგად აქტიურდება დემოგრაფიული რისკები, ამ ტიპის მიგრაცია კი სოფლად არსებულ ფონს კიდევ უფრო უპერსპექტიულოს ხდის.

მუნიციპალიტეტის სინამდვილეში მიგრაციის ყველაზე დიდი ხელისშემწყობია ფაქტორია პიროვნული რეალიზაციის პრობლემაც, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის და ზოგადად უმაღლესგანათლებულთათვის. გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივი მეურნეობები უმაღლეს განათლებას არ მოითხოვს უმაღლესგანათლებულთა ერთმა ნაწილმა სოფლის მეურნეობაში განათლების ფაქტორის ვერ რეალიზების საბაბით ფიზიკურ შრომაზე გული აიცრუა, მეორე ნაწილმა კი ეკონომიკური იძულების წესით ქალაქად ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაიწყო ფიზიკური შრომის უფრო მომგებიან წყაროს ძებნა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ადგილზე დარჩენილ უმაღლესგანათლებულთა ძირითადი ნაწილი დასაქმებულია განათლების და ჯანდაცვის სფეროებში, ხოლო დანარჩენები კვლავ სოფლის მეურნეობაში.

### რა უნდა გაკეთდეს მიგრაციის შესაჩერებლად

რა უნდა გაკეთდეს მიგრაციის შესაჩერებლად - ამ კითხვაზე თეორიულად ბევრი პასუხის გაცემაა შესაძლებელი, მაგრამ რამდენად განხორციელდება პრაქტიკაში რთული სათქმელია. შუახევის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მიხეილ დავითაძე ამბობს, რომ „ვცდილობთ მოვაწესრიგოთ ინფრასტრუქტურა, შევქმნათ სამუშაო პირობები, ხელი შევუწყოთ ტურიზმის განვითარებას და ა.შ. მაგრამ მოსახლეობის შეჩერება მაინც ვერ ხერხდება, სწრაფვა ქალაქისკენ მაინც არის..."

***ამის შესახებ გადავწყვიტე მეც ჩამეტარებინა პატარა გამოკითხვა. იარაღად გამოვიყენე ერთ-ერთი პოპულარული სოციალური ქსელი, მართალია გამოხმაურებულთა უმრავლესობას პრობლემა პირდაპირ არ ეხება, მაგრამ ვფიქრობ, მათი მოსაზრებები მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება:***

**მეგობარი №1-** „ეს სერიოზული პრობლემაა! სოფელში არაფერია ისეთი, რაც ახალგაზრდებს დააინტერესებს და წაახალისებს იქ დარჩნენ... სოფლად არც გზაა ნორმალური და არც გასართობი. დღეს თოხი და ბარი აღარავის უნდა, ახალგაზრდებს ინტერნეტი და მსგავსი გასართობები აინტერესებთ. ამიტომაც მიმდინარეობს შიდა მიგრაცია. თუ ხელისუფლება რაიმე ახალ პროექტს არ წამოიწყებს სოფელში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, სოფლის გადარჩენა შეუძლებელი იქნება. ჰიბრიდული სიმინდი და ტრაქტორი აღარ აინტერესებთ, მით უმეტეს როცა ეს ტრაქტორები უფუნქციოდ დგანან მუნიციპალიტეტების ცენტრებში და გლეხებისთვის ხელმიუწვდომელია. სოფლის გადარჩენა ამ ეტაპზე, ვფიქრობ, მხოლოდ სამუშაო ადგილების შექმნას შეუძლია, შემდეგი ინტერნეტის გამოყვანა უნდა იყოს და ა.შ."

**მეგობარი№2-** „ეს ძალიან რთული და დიდი ხნის სერიოზული პრობლემაა. აუცილებლად უნდა გაკეთდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც სოფლის ახალგაზრდებს დაასაქმებს და მისცემს საშუალებას სრულფასოვან ადამიანებად იგრძნონ თავი... ცივილიზებულ სამყაროში მათთვის არ არსებობს ინტერნეტი და ელემენტარული გასართობი ადგილებიც კი, სამსახურზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია და რა უნდათ სოფელში? სოფლის განვითარების პროგრამებში მარტო ჰიბრიდული სიმინდის თესვა არ უნდა ჩაიდოს, რაღაც საგანმანათლებლო პროგრამებიც უნდა ჩაისვას."

**მეგობარი №3** - „განათლების სფეროში არსებული პრობლემები არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მასტიმულირებელი მიგრაციის (ჩემი აზრით). ერთფეროვანი სასწავლო პროცესი, არავითარი წამახალისებელი პროგრამები..."

**მეგობარი №4** - „მუნიციპალიტეტების განვითარება (განსაკუთრებით ტურიზმი) და მათი დასაქმება, ყველა ახალგაზრდა შინაგანად შეყვარებულია საკუთარ კუთხეზე,

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

# აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში საქმისწარმოების განყოფილების თანამშრომლებს მუშაობა გაუმარტივდებათ





**ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი" პროექტის „ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის აჭარის რეგიონში" ფარგლებში აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტისათვის ერთი სარკმლის პრინციპით მომუშავე ბიუროებს აყალიბებს, რომელთა აღჭურვასაც ტექნიკით, საოფისე ავეჯით და კომპიუტერული პროგრამით „ინტელექტი" უზრუნველყოფს.**

მოქალაქეთა და ბიზნეს—სექტორის უფრო ხარისხიანად და გამჭვირვალედ მომსახურების მიზნით აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს საქმისწარმოების განყოფილებების ბაზაზე შეიქმნა ერთი სარკმლის პრინციპით მოქმედი სტრუქტურა.

აღნიშნული სტრუქტურა მომავალში მოახდენს მოქალაქეთა განცხადებებისა და ოფიციალური კორესპონდენციების ერთიან ელექტრონულ ბაზაში თავმოყრას, რომლის საშუალებითაც მოხდება ინფორმაციის გადამისამართება სხვადასხვა სამსახურებზე. პროგრამა იძლევა შესაძლებლობას განცხადებებზე მომზადებული პასუხები გაცემული იქნეს ერთი ფანჯრის სამსახურის მიერ, სადაც თავის მხრივ აკუმულირდება ინფორმაცია თვითმმართველობის ყველა სამსახურიდან.

იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტებში საქმისწარმოების განყოფილებებმა - „ერთი სარკმლის პრინციპით" სრულყოფილად იფუნქციონირონ, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა გადაწყვიტა დანერგოს ისეთი პროგრამა, რომლითაც შესაძლებელი იქნება მუნიციპალური ცენტრების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა კომპიუტერული პროგრამა „ელექტრონული ასისტენტი", რომელიც უზრუნველყოფს :

**- სხვადასხვა ტიპის გასული და შემოსული კორესპონდენციების და ასევე შიდა დოკუმენტმოძრაობის რეგისტრაციას, ასევე დოკუმენტმოძრაობის მთელი გზის ჩვენებას როგორც საკრებულოს ასევე გამგეობის მიმართულებით და შესაბამისი ელექტრონული ბაზის შექმნას. (ბაზაში ინახება თანდართული დოკუმენტების ელექტრონული ასლებიც);**

**- პროგრამის საშუალებით ხელმძღვანელ პირებს ნებისმერ დროს შეეძლებათ სამუშაო პროცესის კონტროლი;**

**- ბაზაში განთავსებული კორესპონდენციების ძიებას რამდენიმე პარამეტრის მიხედვით;**

**- სარეგისტრაციო ჟურნალების შექმნას და ბეჭდვას დროის სასურველი ინტერვალის მიხედვით;**

**- დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად კორესპონდენციების მიკუთვნებას და გადამისამართებას კონკრეტულ სამსახურებზე;**

**- სხვადასხვა სახის სტატისტიკურ ინფორმაციაზე წვდომას.**

სწორედ ზემოაღნიშნული პროგრამის გაცნობის და შესწავლის მიზნით ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების საქმისწარმოების განყოფილების წარმომადგენლებს ტრენინგი ჩაუტარდათ. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის „ინტელექტის" წარმომადგენელმა - ტრენერმა პაატა ბახტაძემ ტრენინგის მონაწილეებს გააცნო პროგრამის არსი და მისი მუშაობის შესაძლებლობები.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს ვთხოვეთ შეეფასებინათ პროგრამა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმის წარმოების განყოფილების უფროსმა დარეჯან დევაძემ გვითხრა, რომ „პროგრამის გამოყენებით მუშაობა მოქნილი და ხელსაყრელია როგორც ჩვენთვის - საჯარო მოხელეებისთვის ასევე მოქალაქეებისთვისაც. ყველაზე მეტად ის ფაქტი მახარებს, რომ პროგრამის გამოყენების შემდეგ წერილის გაბნევის შანსი ნულამდე იქნება დაყვანილი, მოძებნის პროცესები კი გამარტივებული. ამ პროგრამას თან ძალიან ბევრი დადებითი მხარე ახლავს, რაც შეეხება ხარვეზებს, მუშაობის პროცესში შესაძლებელი იქნება მათი აღმოჩენა და აღმოფხვრა."

პროგრამის შესაძლებლობებს და მის სიმარტივეს ხაზს უსვამს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების წამყვანი სპეციალისტი ია ბერაძეც - „პროგრამა იოლად გასაგები და მრავალფუნქციურია. ყველაზე მეტად ამ პროგრამაში ის მომწონს, რომ დროის მცირე მონაკვეთში შესაძლებელია ბევრი საქმის გაკეთება. აქამდე დოკუმენტების ძებნის პროცესი მიმაჩნდა ყველაზე რთულად, რეგისტრაციის დროს კომპიუტერში ყველა მონაცემი შეგვყავს, პროგრამის გამოყენებით კი ადვილად ხდება ამა თუ იმ ინფორმაციის მოძებნა."

პროგრამის შესაძლებლობებზე და მის შექმნის იდეაზე ვესაუბრეთ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის „ინტელექტის" ეკონომიკის ექსპერტს, ტრენერ პაატა ბახტაძეს:

**- ბატონო პაატა, რამ განაპირობა პროგრამის შექმნის აუცილებლობა?**

- როდესაც აღნიშნულ პროექტზე დავიწყეთ მუშაობა, ვფიქრობდით რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის საქმისწარმოების განყოფილების თანამშრომლებისათვის გაგვემარტივებინა რთული და შრომატევადი საქმე. ბოლოს მივედით იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში შესაძლებელი იყო ისეთი პროგრამის შექმნა, რომელიც პროცედურებს გაამარტივებდა. გამომდინარე აქედან მუნიციპალური მომსახურების ცენტრების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით შეიქმნა კომპიუტერული პროგრამა - „ელექტრონული ასისტენტი", რომელიც მნიშვნელოვნად აამაღლებს მუნიციპალური მომსახურების მიწოდების ხარისხს და შეამცირებს მომსახურების გაწევისთვის გამოყოფილი დროის დანაკარგს. ასევე პროგრამის საშუალებით შესაძლებელია ეფექტური კონტროლის განხორციელება შემსრულებელ რგოლებზე ხელმძღვანელი პირების მიერ. „ელექტრონული ასისტენტი" საკრებულოს და გამგეობის ხელმძღვანელ პირებს აძლევს საშუალებას დროის ნებისმიერ მონაკვეთში თვალი მიადევნონ თანამშრომელთა საქმიანობას დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს კანონით დადგენილი ვადების დარღვევა.

**- რა იყო პროგრამის შექმნის მიზანი?**

- ელექტრონული პროგრამის შექმნის მიზანი იყო იმ ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრა, რომლებიც საქმისწარმოების არსებული სისტემის თანმდევია, ასევე პროგრამის მიერ დაწესებული ჩარჩოებიდან გამომდინარე უზრუნვეყოფილიყო მუნიციპალიტეტებში მომსახურების გარკვეული სტანდარტის დამკვიდრება. პროგრამა „ელექტრონული ასისტენტი" ინფორმატიული და მრავალფუნქციურია, რომლის მარტივი სტრუქტურა საშუალებას იძლევა მომხმარებელმა ადვილად აითვისოს და გამოიყენოს იგი, რასაც ვფიქრობს ტრენინგის მონაწილეებიც დაგვიდასტურებენ".

**კომპიუტერული პროგრამა „ელექტრონული ასისტენტი" ქობულეთის მუნიციპალიტეტში სატესტო რეჟიმში უკვე მუშაობს. რაც შეეხება დანარჩენ მუნიციპალიტეტებს ტრენინგები აქ დასრულებულია. პროგრამის სატესტო რეჟიმში მუშაობა კი ერთი სარკმლის პრინციპით მომუშავე ბიუროების ფუნქციონირების დაწყებისთანავე გაიშვება.**

# მიგრაცია — მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების უპირველესი პრობლემა

**დასაწყისი წინა გვერდზე**

სადაც გაიზარდა და უცხოვრია, მაგრამ მოტივაციაც უნდა ქონდეს იქ ცხოვრების, რადგან ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება ცხოვრება, გრძნობენ რომ ვერ ეწევიან და იმედგაცრუებულნი რჩებიან..."

„არ აქვთ თვითრეალიზაციის საშუალება..;, „უნდა შეუქმნათ სამუშაო ადგილები..."; „გადაადგილების პრობლემა აქვთ..."; „სოფლებში ბიბლიოთეკებიც აღარ დარჩა..."; „ინფრასტრუქტურა ცუდ დღეშია..."

პრობლემის გადაჭრის თავისეული ხედვა აქვთ ჩვენი სტატიის გმირებსაც: უშანგი ცეცხლაძე: „ვფიქრობ სოფლების გაუკაცრიელების შეჩერებას ხელისუფლებამ და ადგილობრივმა მოსახლეობამ ერთობლივად უნდა შევუწყოთ ხელი. შევეცადოთ განვაახლოთ მამა—პაპური მეთოდების გამოყენება სოფლის მეურნეობაში, მეტი დრო დავუთმოთ ამ კუთხით განათლებას, მეტად შევეცადოთ რაც ღმერთისგან ბოძებული გვაქვს იმის მოხმარებას. ჩემი თაობის ახალგაზრდებს მიწაზე შრომას სოფლის „ბირჟაზე" დგომა ურჩევნიათ, სწორედ ესაა უირველესი პრობლემა. სიზარმაცის დაძლევას თუ მივეჩვევით ყველაფერი კარგად იქნება ."

მირანდა სურმანიძე: „მე რომ სოფელში ვცხოვრობდე, პირველ რიგში, საფეხბურთო კლუბს ჩამოვაყალიბებდი, სოფლებს შორის ტურნირს გავმართავდი და გამოვაცოცხლებდი ახალგაზრდობას. დალოცვილ მიწაზე ათასგვარი ტრადიცია გვაქვს. აჭარული კერძების, აჭარული ცეკვისა და სიმღერის ფესტივალს გავმართავდი. ბიბლიოთეკებს შორის შეხვედრებს მოვაწყობდი. ცნობილ ქართველ მწერალს ჩავიყვანდი მაღალმთიანეთში და ა.შ. შეუძლებელი არაფერია, ასე გამზარდეს ჩემს მშობლიურ სხალთაში"

**P.S. ეს იმ ადამიანთა მოსაზრებებია, რომლებიც პრობლემის პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარები არიან. პრობლემის გადაჭრის მათეული ხედვა საკმაოდ საინტერესოა და ვფიქრობ, დაინტერესებული მხარისთვის ყურადსაღები და გასათვალისწინებელია .**

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი"

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის "აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი"
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge